

მე-6 კლასი

I. ენის სამყარო

1. შეარჩიეთ მართებული ფორმა:

ა. ირაკლიმ; ბ. ვახტანგიმ; გ. ეთერიმ; დ. ლევანიმ

2. კუმშვად-კვეცადი სახელებია:

ა. კაცი, ბავშვი, სახლი; ბ. პეპელა, ტომარა, ბეგარა; გ. მთა, კალთა ტბა; დ. ირემი, ქათამი, კალამი;

3. რომელია მართებული ფორმა:

ა. ტონა-ნახევარი; ბ. ტონანახევარი; გ. ტონა ნახევარი; დ. ტონა, ნახევარი

4. შეარჩიეთ მართებული ფორმა:

მეფემ ორი ვაჟიშვილიდან ... უფროს შვილს დაუთმო ტახტი.

ა. თავისს; ბ. თავის; გ. მის; დ. მისს

II. სიტყვაკაზმული ქართული

5. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული: *„ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრი თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი“.*

ა. შედარება; ბ. გამეორება; გ. მეტაფორა; დ. ეპითეტი;

6. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული: *„მეცხვარის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯგვლიანი, საზარელი ძაღლი“.*

ა. ეპითეტი; ბ. გაპიროვნება; გ. ჰიპერბოლა; დ. შედარება

IV. ლექსიკა

7. რომელ წინადადებაში გამოიყენება ანტონიმები?

ა. „ძიებამ გამოიღო შედეგი, რომელმაც ყველა გააკვირვა“;

ბ. „სიყვარულით შეხედა მთას, რომელიც ახლოს ეჩვენა“;

გ. „ტყვეობას თავისუფლება ამჯობინა“;

დ. „ქარმა ალი აათამაშა“

8. რომელი წყვილია სინონიმური?

ა. უნიჭო - უმაქნისი; ბ. ფუჭი - ორაზროვანი; გ. სათვალავი - უთვალავი; დ. განცხრომა - ფუფუნება

V. წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „აქლემი და ვირი“, უპასუხეთ შეკითხვებს:

ერთი აქლემი და ერთი ვირი, დიად დაღლეტილნი, დამმოხილდენ და თავის პატრონს გაეპარნენ. წავიდნენ აგარათა ადგილთა. დიდად გასუქდენ მთასა მას ზედა. დაავიწყდათ სიმჭლე და ზურგის სიმძლე მათი.

ვირმან უთხრა აქლემს: ძმაო, სიმღერა მინდა ვთქვაო.

აქლემმან დაუშალა: ნუ ძმაო! აღარ გახსოვს, რას ჭირში ვიყავითო? არამც ახლოს კაცნი იყვნეს, ხმა ესმათ, წაგვიყვანონ და უარესი გვიყონო.

არ დაიჯერა ვირმან და დაიყოფინა. მეტად მაღალი სიმღერა მოუვიდა. თურე ახლოს მოგზაურნი იდგნენ. აქლემები და კარაულები დასცვივნოდნენ. ესმათ მათ ხმა ესე. გაეხარდათ დიდად და თქვეს:

- მივიდეთ და ვნახოთ, ანუ შენობა იქმნება, ანუ ქარავანი, ეგების ულაცი გვიმიზდონ.

მივიდნენ, ნახეს ერთი აქლემი და ერთი ვირი მსუქნები და უპატრონონი იყვნენ. წაიყვანეს და ორსავ მძიმედ აჰკიდეს.

რა გზა გაგრძელდა, ვირი დამძიმდა და დადგა. კაცთა მათ აიღეს ვირი და მისი ტვირთი, ორივე მას აქლემს დაადვეს.

წაიარეს. ერთი ვიწრო გზა დახვდათ, დიდი კლდე გადასავარდნელი იყო. აქლემმან უთხრა ვირსა: ძმაო, მინდა დავროკდე და სამაია და ცეკო ვქმნაო.

ვირმან უთხრა: - რას ალაგის სამაია და ცეკო არისო?

აქლემმან უთხრა: - იმისთანა სიმღერას ამისთანა ადგილის სამაია და ცეკო უნდაო!

ჯავრით აემართა აქლემი, ვირი კლდეს გარდააგდო და გადაჩეხა.

9. სულხან-საბა ორბელიანი წერს:

„ერთი აქლემი და ერთი ვირი, ტვირთის ზევით რომ ზურგი ჰქონდათ გადატყავებული, დამძობილდნენ და თავიანთ პატრონს გაეპარნენ.“

რა მოიპოვეს, ტექსტში არსებული მინიშნებით, აქლემმა და ვირმა?

ა. საკვები, რომელიც აკლადათ; ბ. თავისუფლება, რომელიც არ ჰქონდათ; გ. არაფერი; დ. ახალი ბაგა და ჭერი, რომლებიც ძველს სჯობდა.

10. სულხან-საბა ორბელიანი წერს, რომ აქლემმა და ვირმა

„კარგი საძოვარი მონახეს და კარგადაც დასუქდნენ. დაავიწყდათ ადრინდელი სიმჭლევე და გადატყავებული ზურგები.“

რამ დაავიწყა აქლემსა და ვირს სიმჭლევე და გადატყავებული ზურგები?

ა. სიმამღრემ; ბ. კეთილდღეობამ; გ. ახალი პატრონების კეთილად მოპყრობამ; დ. უკეთესი მომავლის იმედმა.

11. რატომ არ უნდა იმღეროს ვირმა?

ა. სიმღერა არ ეხერხება, მაინც ყროყინი გამოუვა; ბ. ყროყინიც არ შეიძლება, ხმაზე მოაგნებენ და შეიძლება უარეს დღეში აღმოჩნდნენ! გ. ჯერ არ ემღერებათ; დ. აქლემი ვერ აჰყვება, მარტო სიმღერას კი მაღლი დააკლდება.

12. სულხან-საბა ორბელიანი წერს:

„არ დაიჯერა ვირმა და დაიყოფინა. ძალიან ხმამაღალი სიმღერა გამოუვიდა. იქვე, ახლოს, მოგზაურები ისვენებდნენ. აქლემები და ვირები დასცვივნოდნენ. გაიგონეს ვირის ყროყინი და გაიხარეს...“

რომელი ანდაზა შეესაბამება ვირის მდგომარეობას?

ა. ქურდს რა უნდოდა, ბნელი ღამეო; ბ. ხერხი სჯობია ღონესა, ტუ კაცი მოიგონებსა გ. მჯობის მჯობი არ დაილევაო; დ. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

13. როგორ დამძიმდა აქლემის ტვირთი?

ა. ვირის ტვირთი შემოსდეს; ბ. გზადაგზა საქონელი გაიმრავლეს; გ. დამძიმებული ვირი ტვირთიანად შემოსდეს; დ. ნასუქიაო და ტვირთი დაამატეს.

14. რატომ უთხრა აქლემმა ვირს: „ძმაო, მინდა ერთი დავროკდე და სამაია ვიცეკვო“?

ა. ცეკვის მოყვარულია და ამ სიტყვებს გულწრფელად წარმოთქვამს; ბ. შრომით დაღლილია და ამ სიტყვებს თვითირონიულად ამბობს; გ. გაქცევას აპირებს და ამ სიტყვებს გულწრფელად ამბობს; დ. ვირის გადაგდებას აპირებს და ამ სიტყვებს ირონიულად წარმოთქვამს.

15. რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

ა. უგუნური სხვას დაღუპავს და თავსაც დაიღუპავს; ბ. თავისუფლება მსხვერპლის გაღებით მოიპოვება; გ. სიკეთე სიკეთითვე უნდა გადაიხადო; დ. ძალა ერთობაშია.

16. როგორ გამოიხატება ტექსტის მთავარი სათქმელი?

ა. აქლემის ტექსტის საშუალებით; ბ. ვირის ტექსტის საშუალებით; გ. ავტორის კომენტარით; დ. მოქმედების აღწერით.

17. ალეგორიის, როგორც მხატვრული საშუალების, რომელ ნიშანს ვხვდებით ტექსტში?

ა. ავტორი პერსონაჟებს თანაგრძნობით ხატავს; ბ. ავტორი გონიერებას ქადაგებს; გ. პერსონაჟებად გამოყვანილია ცხოველები, რომლებშიც ადამიანები იგულისხმება; დ. ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს გონიერებასა და უგუნურებას.

18. რატომაა „აქლემი და ვირი“ იგავ-არაკი?

ა. იგი მცირე ზომის მოთხრობაა, რომელიც გარკვეულ სიბრძნეს ქადაგებს;
 ბ. იგი ვრცელი მოთხრობაა, რომელშიც გადმოცემულია პერსონაჟების მოქმედება;
 გ. მასში დაპირისპირებულია გონიერება და უგუნურება;
 დ. იგი მოგვითხრობს, როგორ იქცევა ადამიანი გარემოების მსხვერპლად.